საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №284

2 დეკემბერს 2014 წელი, თბილისი, საქართველო

2014 წლის 2 დეკემბერს 11:00 სთ-ზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციულ კორპუსში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: გრიგოლ გოგელია, ქეთევან მსხილაძე, ნათელა სახოკია, ლელა გაფრინდაშვილი, მარინა მუსხელიშვილი და ალექსანდრე ვახტანგოვი. სხდომას არ ესწრებოდა გიორგი კოხრეიძე. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბიუჯეტის სარეზერვო მუხლიდან შესაბამისი თანხების გახარჯვაზე თანხმობის მიცემის შესახებ, გადაწყვეტილების მიღება.
2. მიმდინარე საკითხები.

სამეურვეო საბჭოს სხდომას საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ გოგელია უძღვებოდა. სხდომას საბჭოს თავმჯდომარის მოწვევით ესწრებოდა მაუწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი და მაუწყებლის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი ელენა მიხალოვა.

პირველი საკითხი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

გრიგოლ გოგელიამ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა სამუშაო შეხვედრაზე იმსჯელეს მაუწყებლბის გენერალური დირექტორის მიერ საბჭოს სახელზე გამოგზავნილი სამსახურებრივ ბარათიში მითითებულ საკითხებზე. კერძოდ: დამტკიცებული 2014 წლის ბიუჯეტის სარეზერვო მუხლიდან, ბარათში აღნიშნული მოცულობის თანხების გახარჯვაზე, მითითებული მიზნობრიობით, თანხმობის მიცემის შესახებ. საბჭოს თავმჯდომარემ და წევრებმა მიმდინარე სხდომაზე, ზემოთ აღნიშნულ საკითხზე დამატებითი კითხვები დაუსვეს მაუწყებლის გენერალურ დირექტორს, რომელიც მიმდინარე სხდომას ესწრებოდა. ფინასური დეტალების შესახებ განმარტებისათვის სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარის და წევრების თხოვნით, გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების დარგში კახაბერ სონიშვილი შემოვიდა, რომელმაც ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა საბჭოს წევრებს მათ მიერ დასმულ კითხვებზე.საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მაუწყებლის იურიდიული სამსახურის მიერ

მომზადებული გადაწვეტილების პროექტი, რომელსაც სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა მხარი (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის).

მიმდინარე საკითხები

საბჭოს წევრმა ალექსანდრე ვახტანგოვმა მაუწყებლის გენერალურ დირექტორს შესთავაზა, შეხვდეს თეატრალური ინსტიტუტის რექტორს, აწარმოოს მასთან მოლაპარაკება სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტების მიერ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმების მაუწყებლის ეთერში გაშვების თაობაზე, რა ფომით შედგება ეს თანამშრომლობა უნდა შეთანხმდეს შეხვედრის დროს. გიორგი ბარათაშვილმა აღნიშნა, რომ ის თანახმაა შედგეს ასეთი შეხვედრა და გამოიძებნოს სტუდენტებთან თანამშრომლობის ფორმა.

შემდგომ, გრიგოლ გოგელიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა, საბჭოს შემდეგი სხდომის თარიღი, დრო და დღის წესრიგი საბჭოს წევრებს დამატებით ეცნობებათ (2014 წლის 2 დეკემბრის საბჭოს სხდომის სრული ვიდეო ჩანაწერი განთავსებულია მაუწყებლის ვებ-გვერდზე: http://gpb.ge/BoardDecision.aspx?LangID=1).

საბჭოს თავმჯდომარე		გრიგოლ გოგელია
სხდომის მდივანი		ირინე ზაქარიაშვილი